



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 968

2016 წლის 02 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ 2016 წლის 29 აგვისტოს N2151 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. მიემართოს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ლაგოდეხის სარეგისტრაციო სამსახურს, ჭიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთების (სიღნაღის ყოფილი მიწები), რომლის ფართობია 224878 კვ.მ, 71183კვ.მ და 45556 კვ.მ მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციისათვის.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსს გიორგი ჩალათაშვილს ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული პროცედურების კონტროლი.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:

*[Handwritten signature]*



ვარლო ჯამბურია